# საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ყოველთვიური ელექტრონული ბიულეტენი

აპრილი, 2024

## ათეა გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს და გიორგობას !!!

## მნიშვნელოვანი სიახლე

### ათეა მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს მუნიციპალური კადრების გაძლიერების მიმართულებით






ადგილობრივი თვითმმართველობებისა და რეგიონების განვითარებისთვის საჯარო მოხელეების საზღვარგარეთ განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასა და განათლების საერთაშორისო ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

ვრცლად

## *ათეა* წევრ მუნიციპალიტეტებს ინტენსიურად აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა ქვეყნებში გამოცხადებული პროგრამებისა თუ კონკურსების შესახებ




საგრანტო შესაძლებლობა ლანჩხუთის, ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებისათვის!

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 2024 წლის 31 მაისი.

*ვრცლად*

# ათეა-ს სიახლეები

ევროპის რეგიონთა და მუნიციპალიტეტთა საბჭოს (CEMR) ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, ნინო რუხაძე სამუშაო ვიზიტით ქალაქ ნიქოზიაში იმყოფებოდა.
აღსანიშნავია, რომ ღონისძიების ფარგლებში CEMR-ის სპეციალური ჯილდოები გადაეცათ ორგანიზაციის წევრი ასოციაციების წარმომადგენლებს. მათ შორის, საქართველოში თვითმმართველობის განვითარებისა და საქართველოსა დაევროპის მუნიციპალიტეტებს შორის ურთიერთობების განმტკიცებაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდა დავით მელუა.

[ვრცლად]






ათეა-ს ინიციატივით, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში ინტერმუნიციპალური სოციალური პლატფორმები დაფუძნდა. პლატფორმები მუნიციპალიტეტებს შორის გამოცდილების გაზიარებისა და სერვისების ერთობლივად მიწოდების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა და რეგიონების ყველა მუნიციპალიტეტს აერთიანებს.



ინტერმუნიციპალური პლატფორმის დაფუძნება გურიის რეგიონში

ვრცლად



ინტერმუნიციპალური პლატფორმის დაფუძნება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში

ვრცლად

აპრილის თვეში ათეა-მ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მერიებისა და საკრებულოების თანამშრომლებისთვის 4 საკონსულტაციო შეხვედრა გამართა, რომლებსაც სხვადასხვა დარგის ექსპერტები წარმართავდნენ. თემატიკა შერჩეული იყო მუნიციპალიტეტების საჭიროებებზე მორგებული მოთხოვნის საფუძველზე და მოიცავდა შშმ ბავშვთა უფლებების და საჭიროებების გათვალისწინებას მუნიციპალურ პროგრამებში, ასევე საზოგადოებასთან და მედიასთან კომუნიკაციისა და სამშენებლო ზედამხედველობის საკითხებსა და პროექტის წერის პრინციპებს.

---












აღსანიშნავია, რომ ათეა მუნიციპალიტეტებისთვის საკონსულტაციო სერვისის მიწოდებას მაისის თვეშიც განაგრძობს. ცნობისთვის, კონსულტაციაზე დასასწრებად საჭირო იქნება მარტივი რეგისტრაციის გავლა. შეხვედრის შესახებ წერილობით ეცნობება მუნიციპალიტეტებს. ინფორმაცია ასევე ერთი კვირით ადრე გამოქვეყნდება ათეა-ს სოციალურ ქსელებში.

ნუ გამოტოვებთ სიახლეებს, გამოგვიწერეთ და გამოგვყევით 👇

---



**2 ივლისს თბილისი ევროპის საბჭოს კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის სხდომას მასპინძლობს!!!**

თბილისის მერის, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტისა და ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელის - კახა კალაძის მოწვევით დედაქალაქს 46 ევროპული ქვეყნიდან წარმოდგენილი 120-მდე  დელეგატი ეწვევა!!!

*ნახეთ ვიდეო*

## *ათეას სიახლეები*

---

ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებებისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ შესაძლებლობების განვითარების სასწავლო პროგრამის/კურიკულუმის გაცნობის მიზნით, ადგილობრივ თვითმმართველობათა ფორუმის მეოთხე შეხვედრა გაიმართა.

*იხილეთ ვრცლად*







აღმასრულებელი საბჭოს რიგით XLIX სხდომა მოიწვია, რომელზეც სხდომის მონაწილეებმა შავი ზღვის თანამშრომლობის (Black Sea Cooperation) პროექტები განიხილეს.

*იხილეთ ვრცლად*

ევროკავშირის მხარდაჭერით, ათეა-ს წევრი მუნიციპალიტეტებისთვის ახალციხეში სამუშაო შეხვედრა ,,მუნიციპალიტეტების როლი სოციალური პროგრამირების და

მომსახურებების განვითარებაში ბავშვების და ოჯახების კეთილდღეობისთვის“ გაიმართა.

*[იხილეთ ვრცლად](#)*



---

*აპრილი* **2024**

**ათეა ბათუმელებს ,,ბათუმობას’’, ქუთაისელებს კი, ,,ქუთაისქალაქობას’’ გილოცავთ !!!**







---

## სიახლეებიი თვითმმართველი ქალაქებიდან

ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მომღერალთა გუნდმა საერთაშორისო ფესტივალზე "Golden Voices of Montserrat", რომელიც ესპანეთის ქალაქ ლორე დე მარში გაიმართა, გრან-პრი მოიპოვა.

***ათეა გილოცავთ კიდევ ერთ დიდ საერთაშორისო აღიარებას!***


Fiestalonia
Milenio
TERNATIONAL FESTIVALS & CONTESTS



რუსთავის მერიამ მეცნიერ შალვა ამონაშვილის აკადემიასთან ერთად, სკოლამდელი აღზრდის სფეროში ახალი პროექტის „სკოლამდელ დაწესებულებათა აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო პროცესის ჰუმანიზაცია რუსთავში“ განხორციელება დაიწყო.
პროექტი რუსთავის მერიასა და შალვა ამონაშვილის აკადემიას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ხორციელდება და რუსთავის ბაგა-ბაღების თანამშრომლებისთვის, ჰუმანური პედაგოგიკის მიმართულებით სპეციალური ტრენინგ კურსების ჩატარებას ითვალისწინებს.

ვრცლად

---

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით, მოქალაქეთა წინადადებების მიღებას იწყებს ! პრიორიტეტის დოკუმენტი ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ და მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტად ითვლება.

პრიორიტეტების განსაზღვრა ხდება მოსახლეობის უშუალო ჩართულობით.

ვრცლად


პრიორიტეტების დოკუმენტი
2025-2028
წინადადებების მიღება დაიწყო!
1 მაისიდან - 31 მაისის ჩათვლით
შეავსე აპლიკაცია!
poti.gov.ge




ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, თბილისის მერიის დაფინანსებით, „მასტერ ლიგის“ მეექვსე სეზონი მიმდინარეობს.
ტურნირში წელს 91 გუნდი მონაწილეობს. პროექტში დაახლოებით 12000 ადამიანია ჩართული. აღსანიშნავია, რომ თამაშები რეგულარული პრინციპით ასევე იმართება აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს ლიგებში.

*ვრცლად*

---

თბილისში მდგრადი სატრანსპორტო სისტემის განვითარების მიზნით თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

ვრცლად





თბილისში ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს.

ვრცლად

დედაქალაქის მერიის მხარდაჭერით, „ექსპო ჯორჯიას“ სივრცეში, სამხრეთ კავკასიის რეგიონში ყველაზე დიდი  სახელოვნებო ღონისძიება - ,,თბილისის თანამედროვე ხელოვნების ბაზრობა გაიმართა.

ვრცლად



რუსთავის მერიამ ქალების ავტობუსის მძღოლებად მომზადების ახალი პროგრამა დაიწყო.

ვრცლად



რუსთავის მერია მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმის ჩასატარებლად ემზადება. სიმპოზიუმში მონაწილეობის სურვილი წელს ასამდე ხელოვანმა გამოთქვა საქართველოდან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

ვრცლად





ქუთაისში დასაქმების ფორუმი გაიმართა. სამუშაოს მაძიებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ ერთიან სივრცეში შეხვედროდნენ 45-ზე მეტი კომპანიის წარმომადგენლებს 350 -ზე მეტი ვაკანსიით.

ვრცლად



საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში „საერთაშორისო ფესტივალებისა და მასტერკლასების ხელშეწყობა (კინო, თეატრი, ფოტო, ანიმაცია, თანამედროვე მუსიკა)" გამარჯვებული 9 პროექტიდან - 3 ქუთაისში განხორციელდება.

ვრცლად

მრავალგზის გამარჯვებულ ბათუმის ქალთა ფეხბურთის გუნდს ქალაქის მერიამ საჭირო სპორტული ეკიპირება გადასცა.

ვრცლად



,,ბათუმის წყალი'' ინოვაციური აღჭურვილობის დანერგვას გეგმავს, რაც ასევე გულისხმობს ტრენინგს ტექნიკური უზრუნველყოფისა და სისტემის გამოყენების შესახებ.
აღნიშნული სისტემა წყალარინების დაზიანებული მილების აღმოჩენისა და რეაბილიტაციის მიზნით გამოიყენება.



ვრცლად




ფოთის მერიასთან თანამშრომობით საჯარო სკოლებში სასწავლო პროგრამა "სოციალური ინოვაციები მომავლისთვის" დაინერგა. პროგრამა მიზნად ისახავს მოსწავლეების ინტერესის გაღვივებას სოციალური ინოვაციებისა და დიზაინის მიმართულებით

*ვრცლად*




ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალურ-ეკონომიკური ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, ქალაქ ფოთში საგრანტო კონკურსი გრძელდება! პროგრამის მიზანია, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების გზით გენდერული თანასწორობის წარმატებით მიღწევა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

*ვრცლად*

---

## *სიახლეები მუნიციპალიტეტებიდან*



მცხეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების რამდენიმე სოფლის ტერიტორიების სივრცითი დაგეგმარების გეგმის შემუშავებისთვის განვითარების ხედვა მომზადდა. ასევე, დასრულდა თიანეთის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლის სივრცის დაგეგმარების გეგმის შემუშავებისთვის მოსამზადებელი კვლევები.

ვრცლად




გორის, მარნეულისა და დმანისის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა ერთმანეთს მოქალაქეთა ჩართულობის წარმატებული მექანიზმები და ფორმები გაუზიარეს.

ვრცლად



დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის მაცაცო ნარიმანიძის ინიციატივით, ქ. დუშეთში, ე.წ. ნიშკაკლის ტერიტორიაზე უკანონოდ მოწყობილი ნაგავსაყრელი გაიწმინდა მყარი საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენებისგან.

ვრცლად

რეგიონში გეოლოგიური საფრთხეების კუთხით არსებული გამოწვევები ონის მუნიციპალიტეტის მერიაში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს.

ვრცლად



მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ,,ეტალონი“-ს გუნდური ჩემპიონატი ჩატარდა.

ვრცლად





ძეგლებისა და ისტორიული ადგილების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ თისელში სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო-შემეცნებითი ლაშქრობა მოეწყო.

ვრცლად

გორის მუნიციპალიტეტის მერია და "საქართველოს კარიტასი" ეკო და აგროტურიზმის განვითარების მიზნით ერთობლივ პროექტს განახორციელებენ.

ვრცლად





დაბა თიანეთში საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი "გაზაფხულის რიტმები" გაიმართა.

***ვრცლად***



საჩხერის სოსო წერეთლის სახელობის სამხატვრო სკოლის მორიგი წარმატება! ხატია კუსიანმა ვერცხლის მედალი ბულგარეთში გამართულ ბავშვთა ნახატების საერთაშორისო კონკურსზე „პატარა მხატვარი“ მოიპოვა. აღნიშნული კონკურსი ყოველწლიურია და ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ტარდება. მასში მონაწილეობას რამდენიმე ათასი ნორჩი მხატვარი იღებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

***ვრცლად***

*ათეა გისურვებთ წარმატებას !*